თასი თბილისში დარჩა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 188 (3672)

1968 წ. 24 სექტემბერი. სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირას, თბილისში, „ლოკომოტივის“ სტადიონზე დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება სპიდვეიში. ორდღიან ტურნირში „თბილისმა“, რომლის შემადგენლობაში გამოდიოდნენ სპორტის ოსტატი ს. ლიომინიდი, ოსტატობის კანდიდატები ვ. კლემენტიევი, ვ. ბუკაევი და პირველთანრიგოსანი პ. ზელენსკი, 74 ქულა დააგროვა და თასი მოიპოვა. უფის „ბაშკირია“ გამარჯვებულს 20 ქულით ჩამორჩა და II ადგილით დაკმაყოფილდა. ტრადიციის მიხედვით, თასის მფლობელმა — თბილისის გუნდმა დაუბრუნა საპატიო წრე.

* * *

სურათზე: თბილისის სპიდვეისტები თასით ხელში საპატიო წრეზე.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. შემდეგ ნომერში).

საქართველოს სპიდვეისტთა გრწყინვალე გამარჯვება



სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

გუშინ და გუშინწინ გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი კალენდარული მატჩები:

„ტორპედო“ (მოსკოვი) — ცსკა 3:0.
„დინამო“ (თბილისი) — „კირატი“ 3:0.
„ტორპედო“ (ქუთაისი) — „შახტიორი“ 2:1.
„არარატი“ — „პახტაკორი“ 1:0.
„დინამო“ (კიევი) — „ზენიტი“ 5:2.
„დინამო“ (მოსკოვი) — „კრ. სოვეტოვი“ 5:1.
ასკ (როსტოვი) — „ზარია“ 1:1.

გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 24 სექტემბრისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კიევი)	30	18	10	2	48—19	46
„ტორპედო“ (მოსკოვი)	29	14	10	5	45—23	38
„სპარტაკი“ (მოსკოვი)	28	16	6	6	44—28	38
ცსკა	29	13	9	7	36—26	35
„დინამო“ (მინსკი)	28	13	9	6	31—21	35
„დინამო“ (თბილისი)	29	12	10	7	35—17	34
„დინამო“ (მოსკოვი)	30	13	8	9	42—29	34
„ჩერნოზემორეცი“ (ოდესა)	28	10	11	7	39—34	31
„ლოკომოტივი“ (მოსკოვი)	28	10	11	7	28—26	31
„ზენიტი“ (ლენინგრადი)	29	8	12	9	27—38	28
ასტ (როსტოვი)	29	9	9	11	35—37	27
„შახტიორი“ (დონეცკი)	29	8	10	11	28—30	26
„ზარია“ (ლუგანსკი)	30	8	10	12	17—33	26
„კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)	29	8	9	12	19—26	25
„ნეფტჩი“ (ბაკო)	28	8	8	12	26—36	24
„არარატი“ (ერევანი)	29	9	5	15	27—38	23
„ტორპედო“ (ქუთაისი)	30	7	8	15	25—36	22
„კაირატი“ (ალმა-ათა)	29	6	7	16	18—35	19
„პახტაკორი“ (ტაშკენტი)	29	6	7	16	28—50	19
„დინამო“ (ციროვაბადი)	28	4	9	15	16—32	17

ქვლავ გამარჯვება

** კიევი**, 23 სექტემბერი. ბ. სპასკი — ვ. კორჩნოის მატჩის VIII პარტიაში შეიძლება ითქვას, გადაწყდა ორთაბრძოლის ბედი.

პარტია ჩეხოსლოვაკიელი დიდოსტატის რ. რეტის რთული დებიუტით დაიწყო. თავიდან თამაში წარიმართა გაკვალული გზით: ბოტვინიკ — ლარსენის პარტიის (მალიორკა, 1967 წ.) მიხედვით. მალე სპასკიმ სხვა გეგმა აირჩია. კრიტიკულ მომენტში კორჩნოის მახვილი ტაქტიკური შეწირვა გამოეპარა. მას რომ დროებით მხედარი დაეთმო, უკეთეს პოზიციას მიიღებდა.

თანდათან სპასკი ინიციატივას დაეუფლა. ცენტრშიც გამაგრდა. კორჩნოი სულ უფრო მეტს ფიქრობდა, მაგრამ წამოჭრილ პრობლემებს თავი მაინც ვერ გაართვა. ციტადელში კორჩნოიმ წინდაუზედავად გახსნა ხაზები მეფის ფრთაზე. ეს საკმარისი იყო რომ სპასკის ფიგურებს პოტენციური ძალა გამოევლინა. თეთრ მეფეზე შეტევით კორჩნოის მდგომარეობა საკვალილო აღმოჩნდა. მან მხოლოდ პარტიის გადადება შეძლო.

გუშინ ამ პარტიის დამთავრებისას მეტოქეებმა მხოლოდ თითო სვლა გააკეთეს. საშინაო ანალიზმა დაარწმუნა კორჩნოი წინააღმდეგობის უაზრობაში და ბრძოლა აღარ განაგრძო.

ამრიგად, მატჩის ანგარიშია 5,5:2,5 სპასკის სასარგებლოდ. პეტროსიანთან მატჩის თამაშის უფლების მოსაპოვებლად სპასკის მხოლოდ 1 ქულა (ოთხ პარტიაში) სჭირდება.

IX პარტია შედგება 25 სექტემბერს.

მეშვიდე პარტია

ბ. სპასკი — ვ. კორჩნოი

ძველინდური დაცვა

1. d4 ეf6 2. c4 g6 3. ეc3 ეg7 4. e4 d6 5. f3.

სპასკიმ ე. წ. ზემოშის სისტემა აირჩია. შავებმა თავალი ფხიზლად უნდა ადევნონ თეთრების მოქმედებას. რაკი მათ იერიშის შესაძლებლობა აქვთ.

5. ... 0—0 6. ke3 ec6 7. ege2 d5 8. ec1 e5 9. d5 ed4 10. ef3.

რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა 10. კ:d4 ed 11. ლ:d4, 11. ... ე:e4! გამო.

10. ... ე:b3 11. ლ:b3 c5 12. dc.

სპასკი, რომელმაც აქ 32 წუთი იფიქრა, ღია თამაშს ამჯობინებს. იგრძნობა d6 პაიკის სისუსტე. კორჩნოიმ, რომელიც საერთოდ პირველად თამაშობს ძველინდურ დაცვას, ალბათ არ იცოდა ამ პოზიციის ნიუანსები. ამიტომაც დაცვა ვერ ააწყო.

12. ... bc 13. 0—0—0 ke6 14. ლa3 ეe8 15. h4.

ახლა ხელსაყრელი არ იყო 15. c5, რადგან 15. ... d5 16. ed cd 17. კc4 ეc7 შემდეგ არ გადის 18. ე:d5 ე:d5 19. ლh3, ვინაიდან 19. ..., ეb6! და თეთრები უფიგურობ რჩებიან. კუ e6 დაცული რომ არ იყო, მაშინ იქნებოდა: 20. კ:d5 ე:b3 21. კ:e6 მფh8 22. ე:d8 ე:e3 23. ე:f8+ კ:f8 24. c6 და თეთრები იგებენ.

15. ... f6? 16. c5.

ამ პაიკის წინსვლა უკვე შეიძლება, რადგან შავებმა თეთრუჯრედოვან კუს დაცვა მოუხსნეს. კორჩნოის 15. ... ლd7 უნდა ეთამაშა.

16. ... ეf7 17. ლa4 ლc7.

17. ... d5 არც ახლა ეარგოდა, 18. ed cd 19. ლc6-ს გამო.

18. კc4 კ:c4 19. ლ:c4.

კუთა გაცვლით სპასკიმ საგრძნობლად დასუსტა თეთრი უჯრები შავების პოზიციაში.

19. ... კf8 20. h5 dc 21. hg hg 22. ლe6 ეd8 23. ე:d8 ლ:d8 24. ეd1 ლe7.

კორჩნოი თავისით აბრუნებს პაიკს. 24. ... ლc7 25. მa4 შემდეგ თეთრები მაინც აღადგენდნენ თანაფარდობას და პოზიციაც ბევრად უკეთესი ექნებოდათ.

25. ლ:c6 ეc7 26. ლb6! მფg7 27. მd5! ლe6 28. კ:c5.

პაიკის მოგებით. კორჩნოიმ წაგო ბრძოლა ლაზიერის ფრთაზე. პარტიაც წაგებული აქვს, თუმცა უპირატესობის რეალიზება სპასკისგან ზუსტ თამაშს მოითხოვს.

28. ... კ:c5 29. ლ:c5 ეb5 30. ლe8 ლc6+ 31. მფb1 ეd4 32. ეc1 ლb5 33. ეc7 ლe2.

კორჩნოის ენდშპილში კონტრშანსის იმედი აქვს, მაგრამ ამაოდ,

34. ეe6+ მფh7 35. ლh6+!

კორჩნოი დანებდა გარდუვალი შამათის გამო.

ეს არის მატჩის ერთ-ერთი საუკეთესო პარტია.

მერვე პარტია

ვ. კორჩნოი — ბ. სპასკი

რეტის დებიუტი

1. c4 e6 2. g3 d5 3. კg2 ეf6 4. ეf3 კe7 5. 0—0 0—0 6. b3 b6 7. კb2 კb7 8. e3 c5 9. ლe2 ეc6 10. ეd1 ეc8 11. d3 ლc7 12. ეc3 ეfd8 13. ეh4 dc 14. bc a6 15. ეab1 ეa7 16. კ:b7 ლ:b7 17. ეf3 b5 18. ეd2 ლd7 19. ეde4 b4 20. ე:f6 კ:f6 21. ეe4 კ:b2 22. ე:b2 f5 23. ეg5 ეc6 24. f4e5 25. ლh5 h6 26. ეf3 ლe6 27. ე:e5 ე:e5 28. fe ლ:e5 29. ეe2 ეc6 30. ლf3 ეcd6 31. ეed2 a5 32. ლf4 ლe6 33. მფf2 a4 34. მფe2 g5 35. ლf2 მფg7 36. h4 ლe5 37. ლf3 ეe8 38. მფf2 gh 39. gh ეg6 40. ეh1 f4 41. fe ლd4+. კორჩნოი დანებდა.

ჭადრაკი ეროვნულ ნაკრებში

● **მეხიკო, 21 სექტემბერი.** გუშინ სსრ კავშირის ოლიმპიურმა გუნდმა ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შეამკო მექსიკის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ გმირთა ძეგლი. საზეიმო ცერემონიალს ხელმძღვანელობდა ჩვენი ოლიმპიური გუნდის ხელმძღვანელი, სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ს. პაველოვი.

● **დნეპროპეტროვსკი, 22 სექტემბერი.** აქ დამთავრდა ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო შეჯიბრება. დამატებით ფინალურ მატჩში ითამაშეს კიევის „დინამოს“ და დონეცკის „შახტიორის“ გუნდებმა. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა ფრედ — 0:0. გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობის წყალობით, პირველობა მიეკუთვნა დონეცკელ ფეხბურთელებს.

● **ოდერის ფრანკფურტი, 22 სექტემბერი.** **მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაზე ბრწყინვალედ იასპარეზა ვ. ბუმელმა (გდრ), რომელმაც ბირთვი ჰკრა 18,87 მეტრზე. ეს ახალი მსოფლიო რეკორდია და 20 სმ-ით ჯობს ჩაბეროთა სპორტსმენ ნ. ჩიფოვას ძველ მიღწევას.**





სან-მარინო, 23 სექტემბერი. მსოფლიოში ეს ერთ-ერთი ყველაზე პატარა სახელმწიფო პირველად გამოვა ოლიმპიურ თამაშებში. გუნდის შემადგენლობაშია 5 სპორტსმენი.

ალჟირი, 23 სექტემბერი. ამ ქვეყნის მხოლოდ 3 სპორტსმენი იასპარეზებს მეხიკოში. ესენი არიან მოკრივეები რ. ლაბური (ქვემსუბუქი წონა), ა. შებარკი (უმჩატესი წონა) და ტანმოვარჯიშე ლ. ლაზხარი.

იმედები №1 სპორტში

მძლეოსნობას ჩვეულებრივ № 1 სპორტად თვლიან. როგორია ბულგარეთის ოლიმპიური იმედები სპორტის ამ სახეობაში? შარშან ხომ ამ ქვეყნის 4 მძლეოსანი შევიდა მსოფლიოს უძლიერესთა ათეულებში.

გ. დიმიტროვის სახელობის ფიზკულტურისა და სპორტის ინსტიტუტის აღზრდილი მძლეოსნები დაბეჯითებით უტევენ ოლიმპიურ მწვერვალებს. ესენი არიან: ი. ხრისტოვა, ნ. ჩორბოვა, ს. ვირბანოვა და ს. იურკოვა. ხრისტოვა და ვირბანოვა „სპარტაკის" წევრები არიან, ჩორბოვა და იურკოვა — არმიული კლუბისა. მათი სპორტული ცხოვრება პიონერული ასაკიდან დაიწყო. ისინი იყვნენ ქვეყნის რეკორდსმენები და ჩემპიონები იუნიორთა შორის, შემდეგ სტუდენტებში, ბოლოს კი ქვეყნისა და ბალკანეთის ჩემპიონები. ოთხივე სპორტსმენი გათხოვილია, ხრისტოვა კი დედაცაა. ხრისტოვა და ჩორბოვა ბირთვის მკვრელები არიან. მათ არაერთხელ გადაულახავთ 16-მეტრიანი ზღვარი. ახლა ისინი დაჟინებით უახლოვდებიან 17 მეტრს, რაც მეხიკოში ერთ-ერთ საპრიზო ადგილზე გასვლის უფლებას მისცემს. მათი მეგობრების, იურკოვასა და ვირბანოვას სპეციალობაა ხუთჭიდი. პირველი, თავისი ქვეყნის რეკორდსმენია, ხოლო მეორე — ბალკანიადისა.

მეხიკოსთვის გულმოდგინედ ემზადებიან სხვა ბულგარელი მძლეოსნებიც. კერძოდ, ი. ბლაგოევა — მსოფლიოს ჩემპიონია სტუდენტთა შორის სიმაღლეზე ხტომაში. მან ბუდაპეშტში 170 სმ გადალახა. ასეთივე შედეგი ჰქონდა შარშან 18 წლის კ. ლაზოვას.

სპეციალისტები დიდ იმედებს ამყარებენ მძლეოსან ვაქებზეც. გ. სტოიკოვსკი ტოკიოში სამხტომელთა შორის VII ადგილზე იყო. ორი წლის შემდეგ ბუდაპეშტში მან I ადგილი მოიპოვა, უკან ჩამოიტოვა ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და მსოფლიო რეკორდსმენი, პოლონელი ი. შმიდტი. შარშან სტოიკოვსკიმ ტრავმა მიიღო და ექიმობდა, მაგრამ დრო უქმად მაინც არ დაუკარგავს — ემზადებოდა ფიზკულტურის ინსტიტუტში დისერტაციის დასაცავად. მძლეოსანი ამჟამად ჩინებულ სპორტულ ფორმაშია.

შარშან ბულგარელმა მძლეოსნებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს. გაუმჯობესდა თითქმის ყველა ეროვნული რეკორდი, დაწყებული 800 მ და გათავებული მარათონით. ბალკანეთის თამაშების 40-წლიანი ისტორიის მანძილზე პირველად, მძლეოსანთა ყველა ოქროს მედალი ერთმა ქვეყანამ — ბულგარეთმა დაისაკუთრა. ამაში დიდი წვლილი მიუძღვით მ. მარკოვსა და მ. ჟელევს, რომლებმაც პირველი ადგილები მოიპოვეს საშუალო და სტაიერულ დისტანციებზე რბენებში.

ჩირაღდანი გზაშია

მიმოხილვა

ევროვიზიაში შემავალი ქვეყნების ამასწინანდელმა თათბირმა, რომელიც ჟენევაში გაიმართა, გადაწყვიტა, რომ მეხიკოს გადაცემები მიიღება არა რეტრანსლაციით, არამედ უშუალოდ, შეჯიბრებების ადგილიდან. ამავე დროს ანგარიში გაეწია დროის სარტყელს. მაშინ, როცა მექსიკის დედაქალაქში შუადღეა (12 საათი), პარიზში 18 საათია, ხოლო მოსკოვში — 20. ამასთან დაკავშირებით, საფრანგეთის რადიოსა და ტელევიზიის მთავარი რედაქტორი რ. მარსინიაკი წერს: „პროგრამის ძირითადი სახეობები — მძლეოსნობა და ცურვა, ევროპაში ტრანსლირებული იქნება ღამის 2-4 საათზე. თქვენ ალბათ იტყვით, რომ ეს დრო მაინცდამაინც მოსახერხებელი არ არის. გიპასუხებთ: ოლიმპიადა 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და სპორტის მოყვარულებს თავისუფლად შეუძლიათ მსხვერპლი გაიღონ".

„იუმანიტემ" თავის ფურცლებზე სპეციალური რუბრიკა შემოიღო: „ო. თ. 1968". 5 სექტემბრის ნომერში გაზეთმა დაბეჭდა ცნობა ოლიმპიური ჩირაღდნის მოგზაურობის შესახებ ესპანეთში. თურმე, ჩირაღდანი ესპანეთში ორჯერ აფეთქდა. ამასთან ორივეჯერ მისი გადაცემის დროს. მორბენლები მსუბუქად დაშავდნენ. სპეციალისტები თვლიან, რომ აფეთქების მიზეზია მყარი გაზი, რომელმაც შეცვალა აქამდე ხმარებაში მყოფი თხევადი გაზი.

„იუმანიტე" ისევე, როგორც სხვა გაზეთები, დიდ ადგილს უთმობს პროგნოზებს. უნდა ითქვას, რომ გაზეთების დიდი უმრავლესობა უჩვეულო ერთსულოვნებას იჩენს. ადარებენ რა ლონგ-ბიჩში მოწყობილ ამერიკელ მოცურავეთა ეროვნულ ჩემპიონატსა და წახკაძორის საკავშირო პირველობის შედეგებს, უპირატესობას პირველებს ანიჭებენ. მათი აზრით, აშშ-ს მოცურავეებს შეეპაექრებიან მხოლოდ ჰოლანდიელი ა. კოკი (ბატერფლაი), კანადელი ი. ტანერი (გულაღმა ცურვაში) და ჩვენი გ. პროზუმენშჩიკოვა (ბრასი). მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ პროზუმენშჩიკოვას ამჟამად სერიოზულად ავიწროვებენ ამერიკელები, ხოლო ორმა მათგანმა უკვე გააუმჯობესა კიდეც ჩვენი თანამემამულის რეკორდი 100-მეტრიან დისტანციაზე. და მაინც, ისეთი დიდი ავტორიტეტი, როგორც ავსტრალიის ნაკრების მწვრთნელი დ. ტალბოტია, თვლის, რომ ეს სამეული (კოკი, ტანერი, პროზუმენშჩიკოვა) ამერიკელთა მედლების მარაგს შეამცირებს.

აშშ-ს მოცურავეთა გუნდში სახელგანთქმული ჩემპიონების ქ. კოლბის, ქ. ბოლის და სხვათა გვერდით დადგა 14 წლის ს. პეტერსენი. იგი მონაწილეობას მიიღებს ცურვის 5 სახეობაში (100 და

200 მ თავისუფალი სტილით, 400 მ კომპლექსური ცურვა, ესტაფეტები 4×100 თავისუფალი სტილით და 4×100 კომბინირებული). მეორე ვარსკვლავმა — 15 წლის დ. მაიერმა აირჩია თავისუფალი სტილი (200, 400 და 800 მ). 18 წლის მოცურავე მ. სპიტცი დაენიძლავა სახელგანთქმულ დ. შოლანდერს (რომელმაც ტოკიოში ოთხი ოლიმპიური ოქროს მედალი მოიპოვა), რომ გააუმჯობესებს მის რეკორდს და ოქროს მედლებს მოიპოვებს 5 სახეობაში.

სპეციალისტები მძლეოსნობაშიც უპირატესობას ამერიკელებს აძლევენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა ლაპარაკია სპრინტერებზე, მხტომელებზე, მტყორცნელებზე.

იუგოსლაველთა მთელი იმედები დაკავშირებულია ვ. ნიკოლიჩთან — ქალთა 800 მეტრზე რბენის მსოფლიო რეკორდსმენთან, რომელიც ამჟამად ბრწყინვალე სპორტულ ფორმაშია. იუგოსლაველები მეხიკოში სულ 60 სპორტსმენს აგზავნიან. ამ ქვეყნის ოლიმპიური კომიტეტი დიდი ფინანსიური სიძნელეების წინაშე დგას. სახსრების შეგროვების მიზნით იუგოსლაველებმა გამოუშვეს ოლიმპიური საფოსტო მა... ბის სპეციალური სერია. ნიკ... ჩის გარდა, იუგოსლაველებს იმედი აქვთ ტანმოვარჯიშე მ. ცერარისა და კალათბურთელებისა.

„ოქრო იალქნებში" — ასე უწოდა თავის წინასაოლიმპიადო მიმოხილვას ფრანგულმა გაზეთმა „ეკიპმა". მასში ნათქვამია: „დანია მეხიკოში 75 სპორტსმენს აგზავნის. როცა ამ პატარა ქვეყანას რუკაზე უყურებ, კარგად ამჩნევ, რომ იგი ზღვით არის შემოსაზღვრული. იბადება კითხვა: რაშია მისი სპორტული სიძლიერე? პასუხიც მზადაა. საიალქნო სპორტში. ამ სახეობის უდავო „ვარსკვლავია" დანიელი პ. ელფსტრიომი. მას ძლიერი თანაგუნდელები ჰყავს. ყველაფერი როგორც ჩანს, აკაპულკოს ზღვის „ხასიათზე" იქნება დამოკიდებული".

ბრაზილიელებს დიდი იმედი აქვთ კალათბურთელებისა და ფეხბურთელებისა. ადგილობრივ პრესას მიაჩნია, რომ მექსიკელ... და კოლუმბიელებისგან განსხვავებით, მათი გუნდი წმინდა სამოყვარულო იქნება. „პელესა და გარინჩას ქვეყანას, — მათი აზრით, — არ უნდა ჰქონდეს მაქინაციების თავი". მძლეოსნობაში ბრაზილია ერთადერთი ვაჟით იქნება წარმოდგენილი. ესაა ნ. პრუდენსიო, სახელგანთქმული სამხტომელის ადემარ ფერეირა და სილვას ღირსეული მემკვიდრე. და კიდევ ერთი ქალით, ხუთჭიდელი აიდა დოს სანტოსით, რომელმაც პანამერიკულ თამაშებში ვერცხლის მედალი მოიპოვა.

* * *

სურათზე: ვერა ნიკოლიჩი.



XIX ოლიმპიური თამაშების გახსნამდე სულ მცირე დრო დარჩა. მექსიკის დედაქალაქში უკვე დამთავრდა ოლიმპიურ-სპორტულ ნაგებობათა მშენებლობა.

სურათზე: სპორტის სასახლე, სადაც ჩატარდება კალათბურთელთა ასპარეზობა.

ფოტო იუპი-საკდესისა.

მკაცრი და შ...

ფრენბურთი, ისევე როგორც კალათბურთი, აშშ-ში „დაიბადა". რა თქმა უნდა, მაშინ იგი არ იყო ისეთი დინამიური და ათლეტური, როგორც ახლა. ფრენბურთი ბურთით მოძრავი თამაშის ერთ-ერთ ნაირსახეობას წარმოადგენდა.

შეერთებული შტატებიდან იგი გავრცელდა აზიაში — იაპონიაში, ჩინეთსა და ფილიპინებში. ამ ქვეყნებში ფრენბურთს თავისებურად თამაშობდნენ. გუნდის შემადგენლობაში იყო 9 სპორტსმენი, ადგილებს ისინი არ იცვლიდნენ, პარტიების ანგარიში 22-მდე წ... ებდა. ევროპაში ეს თამაში ... წელს შემოვიდა. პირველა... სპორტული დარბაზის კარი ... სლოვაკიაში გაუხსნეს.

მართალია, ფრენბურთი კ... ბურთზე 4 წლით უფრო ... „დაიბადა" (1895 წ.), მაგრამ ... მპიურ სახეობად იგი აღია... ლათბურთთან შედარებით ... წლის დაგვიანებით, — ტ... ოლიმპიურ თამაშებში. საერ... რისო ოლიმპიური კომიტეტ... ხანს უგულვებელყოფდა მას ...

თამაშ...

მეხიკოში მცხუნვარე დღე... ამჟერად ლაპარაკი არა გვაქვ... ლიწადის ამ დროს უნდა იყ... სიგრილე. მაგრამ ოლიმპიური ... რედ ეს განსაზღვრავს მეხიკო...

12 სექტემბერი—თამაშების ... ლი დღეა, ხოლო 14 სექტემბ... გაცილებით უფრო ადრე ჩამოვ... ლე, პოლონელები და ესპანელ... გულთბილად მიიღეს. განსაკუ... წონათ, რომ პოლიციელთა ... ნიერფარფლებიანი ქუდი (... როს?).

აეროპორტში ყოველდღე ... გადაიყვანონ სტუმრები ოლ... დამკვრელებიც.

გაზეთები დეტალურად ...

ოლიმპიადის გასახსნელამდე დარჩა 18 დღე

ეროვნული ბიბლიოთეკა

5 ნაცნობი და უცნობი

...თის ოლიმპიურმა კომი-
...ამოაქვეყნა იმ დელეგა-
...ადგენლობა, რომელიც
...ება მეხიკოში. სულ
...ში გამოვა 260 სპორტ-
...ვრთნელი, მსაჯი და დამ-
...პერსონალი. უშუალოდ
...რი მედლებისათვის 175
...იბრძოლებს.

...გუნდი წლეულს უფ-
...ამოავალია (ტოკიოსთან
...ით). ეს იმით აიხსნება,
...წლის მანძილზე საგრძნობ-
...ოლდა უნგრელი სპორტს-
...ოსტატობა. სპეციალის-
...ზრით, უნგრეთი შესძლებს
...ოს მედლის მოპოვებას.
...ნელები მომავალზეც ფი-
ქრობენ: მეხიკოში ბევრი ახალგა-
ზრდა სპორტსმენი გაიმგზავრა.
მათ კონკრეტული ამოცანა არა
აქვთ დასახული. მწვრთნელებს მიაჩ-
ნიათ, რომ ეს ახალბედები გამო-
ცდილებას შეიძენენ 1972 წლის
ოლიმპიადისათვის.

თანამედროვე ხუთჭიდელთა გუ-
ნდში არის 2 საქვეყნოდ ცნობილი
სპორტსმენი: ბალცო და ტიორიო-
კი, აგრეთვე, 2 ახალგაზრდა —
ბოდნარი და მოკა. ასეთივე მდგო-
მარეობაა მძლეოსნებთან. კიშის,
ნემეტის, საბოს, კომის, ჟივოცკისა
და სხვა პოპულარული მძლეოსნე-
ბის გვერდით მეხიკოში გამოვლენ
ახალგაზრდები ფარაგო, კონტი,
კულჩარი, როლასი და სხვ.

...ბილეთაკი

● საბჭოთა სპორტს-
...ენების მომავალი გამო-
...ელა თამაშებში, მექსი-
...ის პრესის ყურადღე-
...ცენტრშია. „რუსე-
...ბ. პროზუმენშჩიკო-
...ს „ოქროს თევზს“
...ეწოდებენ, — აღნიშნავს
...ახეთი „ოვესენო“—და
...ს სამართლიანიცაა.
...როზუმენშჩიკოვი ერთ-
...ერთი ფავორიტი იქნება
...ასით 100 და 200 მე-
...ტრზე ცურვაში“.

● 9 სექტემბერს
...ოლიმპიურ აუზში ბირ-
...ელი საწვრთნელი შე-
...ბრება მოეწყო. მაგ-
...რამ ამის შესახებ პრე-
...ში არაფერი დაბეჭ-
...დილა. იგი სიიდუმლოდ
...შენახეს.

● ოლიმპიადის დღე-
...ებში დაძაბული სამუ-
...შაო ექნება 3 ათას ტე-
ლეტექნიკოსს, მათ შო-
რის 400 ევროვიზიის
წარმომადგენელია.

● მექსიკის ტელევი-
ზიამ უკვე დაიწყო გა-
დაცემათა სერია სათაუ-
რით: „ოლიმპიადა-68“.

● XIX ოლიმპიურ
თამაშებში მონაწილეობს
119 ქვეყნის 7226 სპო-
რტსმენი. მაგრამ საორ-
განიზაციო კომიტეტის
აზრით, ეს ციფრი შესაძ-
ლოა შეიცვალოს. საქმე
ის გახლავთ, რომ განაც-
ხადების მიღება შეწყ-
დება ოლიმპიადის გახ-
სნამდე 10 დღით ადრე,
ანუ 2 ოქტომბერს. ჯერ
საბოლოო პასუხები არ
არის მიღებული იორ-
დანიის, კამბოჯის, ნეპა-
ლის, ტოგოსა და დაგო-
მეას ოლიმპიური კომი-
ტეტებისგან.

...ოვარი იქნება

...ეო სპორტად თვლიდა, მაგ-
...ფრენბურთის საერთაშორისო
...ერაციის (იგი 102 ქვეყანას
...ანებს) დაეგენებითი მეცადი-
...ით, სპორტის ეს სახეობა ბო-
...დაბოლოს ოლიმპიური ოჯახის
...ლუფლებიანი წევრი გახდა.
...III ოლიმპიადის ჩემპიონი
...ა შორის გახდა იაპონიის ნა-
...ი, ხოლო ვაუებში — სსრ კავ-
...ის გუნდი. ჩვენმა ქალებმა ტო-
...ი ვერცხლის მედალი მიი-
...ხოლო იაპონელმა ვაუებმა—
...ეაოსი.

ფრენბურთმა ოლიმპიური მატიანის პირველი ფურცელი შემთხვევით როდი გადაშალა იაპონიის მიწაზე. 1960 წელს რიო-დე-ჟანეიროს მსოფლიო ჩემპიონატში ნამდვილი სენსაცია მოახდინა იაპონიის ქალთა გუნდის გამარჯვებამ. მან პირველობა მხოლოდ მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს, სსრ კავშირის ნაკრებს დაუთმო. იაპონელებმა დამაჯერებლად დაამარცხეს მაშინდელი, აღიარებული ფავორიტები — პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და ბულგარეთის ნაკრები კოლექტივები. ახლა ამ გუნდს იაპონური „ტაიფუნს“ უწოდებენ.

იაპონური „ტაიფუნი“ ამოძრავდა 1962 წელს, როცა I ადგილი მოიპოვა მოსკოვის მსოფლიო ჩემპიონატში. შემდეგ იგი მოედო ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებს და აქედან გავრცელდა მთელს მსოფლიოში.

იმისათვის რომ მოუგო ძლიერ მეტოქეს, ხშირად უნდა შეხვდე მას მისსავე მოედანზე. ჩვენი ქალთა გუნდი იაპონიის ხშირი სტუმარია. ამ ცოტა ხნის წინ საბჭოთა ფრენბურთელმა ქალებმა 8 შეხვედრა ჩაატარეს ამომავალი მზის ქვეყნის კლუბებთან და 5 გამარჯვება მოიპოვეს, მათ შორის დაამარცხეს ლეგენდარული „ნიჩიბო“. იაპონიაში სტუმრად იყო ვაუთა გუნდიც, რომელმაც 6 შეხვედრა მოიგო და მხოლოდ ორჯერ დატოვა მოედანი დამარცხებულმა.

მართალია, ოლიმპიადის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა, მაგრამ მარჩიელობა, თუ ვინ მოიპოვებს ოლიმპიურ „ოქროს“, მაინც ძნელია. ცხადია მხოლოდ ერთი: ბრძოლა საპატიო ტიტულისთვის ამჯერადაც მძაფრი და შეუპოვარი იქნება.

* * *

სურათზე: სსრ კავშირის და გდრ-ის ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ვ. ნაუმენკოვისა.

...ი კულისებს მიღმა

...ოქვენ ალბათ მიხვდით, რომ
...ი აქ ისეთია, როგორიც წე-
...ესი სითბო, საღამოობით კი
...ბ კარზეა მომდგარი და სწო-
...ამინდს“.

...ფიციალური მიღების პირვე-
...ტებისა. მაგრამ ზოგიერთები
...ექვს გვატემალელს, სულ მა-
...ადრეული სტუმრები მეტად
...ონელები: მექსიკელებს მოე-
...ელობას ლამაზად ავსებს გა-
...ნაგავს მექსიკური სომბრე-

...ორიგეობს. ისინი მზად არიან
...ში. მორიგეობენ მუსიკოს-

...ნ როდის ჩამოდის. რა თქმა
უნდა, ყველაზე მეტი ყურადღებით სარგებლობენ „ვარსკვლავები“. იუწყებიან, რომ იტალია მეხიკოში გზავნის ტოკიოს ოლიმპიადის შვიდ ჩემპიონს.

დიდ ინტერესს იჩენენ მეხიკოში სსრ კავშირის დელეგაციისადმი. გაზეთებიდან მზიარულად იყურებიან ი. ლუსისი, რ. კლიმი, ვ. კურენცოვი და მაინც, ყველაზე მეტად პოპულარული აქ ჩვენი ტანმოვარჯიშე ქალები და ვაუები არიან. ძალზე ხშირად ბეჭდავენ ვორონინებისა და კუჩინსკაიას ფოტოსურათებს.

პრესის ცნობით, აშშ-ს სპორტსმენები მეხიკოს, გახსნის წინა დღეს, 11 ოქტომბერს ეწვევიან. „ჩვენ გვინდა გუნდი დავიცვათ სპორტული შეთანაყისგან“,—ასე განმარტა ეს გადაწყვეტილება აშშ-ს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა დ. რობინმ. ამერიკელი ეურნალისტები და ზოგიერთი ხელმძღვანელი, ბუნებრივია, მეხიკოში გაცილებით ადრე ჩამოვლენ.

მაგრამ სინამდვილეში, ამერიკულ საიდუმლოებას მარტივი ამოხსნა აქვს. სპორტსმენები დაყოფილი არიან 5 ჯგუფად (სპორტის სახეობების მიხედვით) და თავიანთ ბაზებზე ვარჯიშობენ. ეს ბაზები მეხიკოს დონეზეა განლაგებული.

მეხიკოში ჩასულთა განკარგულებაშია ოლიმპიური სოფლის ყველა კომფორტი, აგრეთვე, წვრთნის ჩინებული პირობები. სტუმრებს ვარჯიშებისთვის დათმობილი აქვთ 88 მინდორი და დარბაზი.

გასულ პარასკევს მექსიკელებმა „მოხინჯეს“ ველოდრომი. პირველსავე დღეს 1000 მეტრზე გიტში გაიმარჯვა რ. ტრევინიომ. მისი შედეგია 1 წუთი და 8 წამი. ეს უკეთესი მაჩვენებელია, ვიდრე ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს ჰქონდა. ტრევინიომ საათში საშუალოდ 52,951 კმ აჩვენა. მეორე დღეს მან გაიმარჯვა გამოდევნებით რბოლაშიც. საუკეთესო შედეგი ტრევინიომ ნახევარფინალში აჩვენა — 4.51,1. ასეთი შედეგით იგი ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონი გახდებოდა. თვით ტრევინიომ განაცხადა, რომ მეხიკოს ველოდრომი სჯობს მილანის ცნობილ „ვიგორელის“.

ამ ცოტა ხნის წინ ოლიმპიურ საცურაო აუზსაც აუღეს ბაშნიკი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, შეფერხებებსაც აქვს ადგილი. უკვე რამოდენიმეჯერ გადაიდო თამაშების გახსნის გენერალური რეპეტიცია, რომელიც 12 სექტემბერს უნდა შემდგარიყო. მიზეზი? არ არის მზად საფეხურები, რომლის გავლითაც ოლიმპიური ცეცხლი უნდა დაანთოს ენრიკეტა ბასილომ.

ლ. კოსტანიანი.

ლაპარაკობს ჯუზეპე ბეგეტო

ჯუზეპე ბეგეტო ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული იტალიელი ველოსიპედისტია. მან ოლიმპიური ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ტანდემებით რბოლაში (სერჯიო ბიანკეტოსთან ერთად). ბეგეტო მსოფლიოს სამგზის ჩემპიონია (1965, 1966, 1968 წ.წ.) პროფესიონალ სპრინტერთა შორის. აას-ის კორესპონდენტი ა. ბატაშოვი რომში ესაუბრა ჯ. ბეგეტოს.



ომარ ფხაკაძე

● ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ ქალთა ველოსპორტს არა აქვს მომავალი. რა აზრისა ხართ თქვენ ამის შესახებ?

— ბოლო დრომდე იტალიაში ჩვენს ველოსიპედისტ ქალებს უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავდა, ვიდრე მეგობარი. ისინი ფიქრობდნენ ასე: თუ წინათ არ იყვნენ ველოსიპედისტი ქალები, არ უნდა იყვნენ ისინი ახლაც. ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი. ამჟამად მდგომარეობა საგრძნობლად შეიცვალა. ვფიქრობთ, ქალთა სპრინტი საინტერესო, მომხიბლავი სანახაობაა. იგი შემდგომშიც აუცილებლად განვითარდება.

● ვაჟები ხშირად სკეპტიკურად აფასებენ ველოსიპედისტ ქალთა ტაქტიკური აზროვნების უნარს?

— დიახ, ეს ჩვენთანაც შეიმჩნევა. მართალია, ქალი მაინც ქალად რჩება, მაგრამ მე ბევრ ქალს ვიცნობ, რომლებიც საკმაო დახვეწილ და განვითარებულ ნერვულ აპარატს ფლობენ. ისინი, რა თქმა უნდა, ღირსეულად აღიქვამენ ყოველგვარ ტაქტიკურ ეშმაკობას.

● საბჭოთა სპორტსმენებიდან ვინ დატოვა თქვენზე ყველაზე კარგი შთაბეჭდილება?

— გ. ერმოლაევამ მართალია, იტალიაში მსოფლიო პირველობა ვერ მოიგო, მაგრამ ჩვენ კარგად ვიცნობთ ამ ნიჭიერ ველოსიპედისტს, რომელმაც იტალიელთა დიდი სიმპათიები დაიმსახურა.

● რა შეგიძლიათ თქვათ ინდივიდუალურ რბოლაში გამარჯვებულ რ. ობოდოვსკაიაზე?

— უკვე ნახევარფინალიდან გახდა ცხადი, რომ იგი მოუგებდა ბ. ბერტონს. ობოდოვსკაიას ბრწყინვალე ფინიში აქვს და ორჯერ მეტი ძალა, ვიდრე ინგლისელს.

● რით შეიძლება აიხსნას, თქვენის აზრით, ბ. მარკოვის წარუმატებლობა მსოფლიო ჩემპიონატში? იგი წლეულს ფინალშიც ვერ მოხვდა. შარშან კი სალიდერო რბოლის მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორი იყო?

— ჩემი აზრით, მარკოვი არ იყო ფორმაში. შარშან იგი სულ სხვაგვარად ასპარეზობდა.

● გაინტერესებთ თუ არა ოლიმპიური პრობლემები მას შემდეგ, რაც პროფესიონალებში გადადით?

— რა თქმა უნდა.

● როგორ აფასებთ იტალიელი ველოსიპედისტების შანსებს მეხიკოში?

— ვფიქრობ, ჩვენ მოვიგებთ ტანდემსა და გამოდევნებით რბოლას.

● თქვენის აზრით რომელ სახეობაში არიან ყველაზე უფრო ძლიერი საბჭოთა ველოსიპედისტები?

— გუნდურ რბოლასა და სპრინტში. მძლავრი ომარ ფხაკაძე № 1 ფავორიტია.

● რას უსურვებდით საბჭოთა ველოსიპედისტებს?

—წარმატებას მეხიკოს ტრეკზე. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი სამშობლოში რამდენიმე ოლიმპიურ ჯილდოს წაიღებენ.

რ. ფიშერი: ვითამაშებ!

XVIII საჭადრაკო ოლიმპიადამდე თვეზე ნაკლები დარჩა. 17 ოქტომბერს ლუგანოში 54 ქვეყნის მოჭადრაკეები შეუდგებიან ბრძოლას ჰამილტონ-რასელის ოქროს თასისთვის. ბუნებრივია, რომ გაზეთებში გახშირდა წერილები ოლიმპიადაზე.

ამ ცოტა ხნის წინ ბევრ უცხოურ გაზეთში დაიბეჭდა გამოჩენილი ამერიკელი დიდოსტატის რ. ფიშერის ინტერვიუ, რომელიც ალბათ არც „ლელოს“ მკითხველებისთვის იქნება უინტერესო.

● თუ აპირებთ თამაშს ლუგანოში?

— შემიძლია ვთქვა, რომ ვითამაშებ. რა თქმა უნდა, გაუთვალისწინებელი შეიძლება ყოველთვის მოხდეს.

● როგორია თქვენი გუნდის შანსები?

— თუ ძლიერი შემადგენლობით ჩავედით შვეიცარიაში, წარმატების დიდი და რეალური შანსი გვექნება.

● როგორია ამერიკელთა გუნდის უძლიერესი შემადგენლობა?

— ჩემს გარდა, გუნდში უნდა იყვნენ ევანსი, ბენკო, რეშევსკი და რობერტ ბირნი. მეექვსე მონაწილედ არ ვიცი ვინ დავასახელო.

● რატომ არ ითამაშეთ აშშ-ის ბოლო პირველობაში?

— 12-კაციანი ტურნირი ძალიან მცირერიცხოვანი შეჯიბრებაა. ამერიკის ჭადრაკის ფედერაციასთან ჩემი დავის საგანი სწორედ ეს იყო. 20-22 მონაწილისგან შემდგარი ეროვნული პირველობა წრიული სისტემით უნდა ჩატარდეს. მაშინ დაკავებული ადგილები შეესაბამება მონაწილეთა რეალურ ძალას, ხოლო ახალგაზრდა ტალანტებს თავის გამოჩენის შანსი ექნებათ.

● სპასკისა და კორჩნოის ფინალურ მატჩში თქვენი აზრით, ვინ გაიმარჯვებს?

— პასუხით მატჩს ზიანს მივაყენებ.

● მაშინ კითხვა ასე დავსვათ: ამ ორი პრეტენდენტიდან, რომელს აქვს უკეთესი შანსი პეტროსიანის წინააღმდეგ?

—დარწმუნებული ვარ, რომ კორჩნოის საგრძნობლად მეტი შანსი აქვს, ვიდრე სპასკის.

● თქვენი პირადი ანგარიში სპასკისა და კორჩნოის წინააღმდეგ?

— სპასკიმ ორი პარტიით მეტი მომიგო, კორჩნოისთან თანაბარი ანგარიში მაქვს. მაგრამ მატჩში ეს ცოტას ნიშნავს...

● თქვენი ახლო მომავლის გეგმები?

— ბოლო დროს ძალიან დაკავებული ვარ. ორ საჭადრაკო წიგნს ვწერ. ერთს დამწყებთათვის, მეორე ჩემი 50 საუკეთესო პარტიების კრებული იქნება. ისინი მალე მინდა დავამთავრო.

ბოგოტა, 23 სექტემბერი. კოლუმბიელმა სტაიერმა ა. მეხიამ, რომელმაც გაიმარჯვა მეხიკოს ოლიმპიადისწინა კვირეულში ორივე გრძელ დისტანციაზე, შეწყვიტა წვრთნა. მას კუჭის ტკივილი აწუხებს. კოლუმბიელი მეხიკოს თამაშების ერთ-ერთი ფავორიტი იყო რბენაში.

კუალა-ლუმპური, 23 სექტემბერი. მალაიზია მეხიკოში გზავნის 33 ოლიმპიელს. „ჩვენი სპორტსმენების მეხიკოში გამარჯვების დიდი იმედი არა გვაქვს, — განაცხადა დელეგაციის ხელმძღვანელმა ქ. ბოსმა, — მაგრამ ჩვენთვის მთავარი გამარჯვება კი არა, ამ მსოფლიო ფორუმში მონაწილეობაა!“

ლონდონი, 23 სექტემბერი. შესაძლოა მეხიკოს თამაშებში ყველაზე ხნიერი სპორტსმენი [illegible] წლის ინგლისელი ცხენოსანი [illegible]ლი ლ. ჯონსტოუნი აღმოჩნდეს. საინტერესოა, რომ იგი 1908 წელს პირველად შეჯდა ცხენზე. მეხიკოში რომ ჩავიდეს ჯონსტოუნი, თავისი სიცოცხლის განმავლობაში მეორეჯერ ჩაჯდება თვითმფრინავში.

მეხიკო, 23 სექტემბერი. ოლიმპიურ სოფელში უკვე დასახლდა თამაშების მონაწილეთა ნახევარზე მეტი. — 4.000 კაცი. ოლიმპიურ ტრეკზე პირველი სენსაცია მოხდა: ავსტრალიელთა ტანდემმა — ბ. კლარკმა და გ. ჯონსონმა დისტანციის ბოლო 200 მეტრი 10 წამში დაფარა. ეს შედეგი რახაკვირველია, მსოფლიო რეკორდად არ დამტკიცდება, მაგრამ მათმა მწვრთნელმა ბ. იანგმა განაცხადა, რომ მეხიკოს ტრეკზე გაუმჯობესდება მსოფლიოს ყველა რეკორდი.

ბ. გურგენიძე ლიდერებში

მეორე კვირაა კისლოვოდსკში მიმდინარეობს სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის საუბილეო, X საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი. ბრძოლაში ჩაბმულია 15 მოჭადრაკე — 6 საერთაშორისო დიდოსტატი, 4 საერთაშორისო ოსტატი და 5 ოსტატი. მონაწილეთა შორისაა საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძეც.

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ ოსტატი ფ. იგნატიევი—6 ქულა 8-დან, დიდოსტატი ე. ვასიუკოვი (ორივე — მოსკოვი) და ბ. გურგენიძე — 6-6.

ლიდერებს კვალში მიჰყვებიან: დიდოსტატი ე. გელერი (მოსკოვი) — 5,5 ქულა (8-დან), საერთაშორისო ოსტატი ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — 5,5, დიდოსტატი ე. გუფელდი (კიევი), ოსტატი მ. კნეევიჩი (იუგოსლავია) — 5-5. დიდოსტატებს დ. ბრონშტეინსა და ვ. სმაგინს (ორივე — მოსკოვი) — 4-4 ქულა (8-დან) აქვთ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

„ბ“ ჯგუფი

21 სექტემბერს გაიმართა მორიგი ტურის მატჩები III და IV ზონებში. ჩვენი კორესპონდენტები გვატყობინებენ:

რუსთავიდან...

ადგილობრივმა „მეტალურგმა“ მიიღო სვეტლოგრადის „უროჟაი“. მთელი თამაშის განმავლობაში უპირატესობა მასპინძლების მხარეს იყო. ანგარიში 26-ე წუთზე გახსნა კონიაშვილმა. 12 წუთის შემდეგ მეტრეველმა იგი ორამდე გაზარდა. რუსთავის ფორვარდები კიდევ უფრო გააქტიურდნენ შესვენების შემდეგ. 55-ე წუთზე ჭინტურიამ ლამაზი ბურთი გაიტანა სვეტლოგრადელთა კარში. შემდეგ ისევ გამოიჩინა თავი კონიაშვილმა, რომელმაც მოატყუა მოწინააღმდეგე გუნდის მცველი, მეკარე და მეოთხეჯერ შეარხია „უროჟაის“ კარის ბადე. მეხუთე ბურთი სტუმრების კარში გავიდა მე-80 წუთზე ხინჩაგაშვილის თავური დარტყმის შემდეგ. მატჩის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე სვეტლოგრადელებმა მხოლოდ ერთი საბასუხო ბურთი გაიტანეს (გონჩაროვი). შეხვედრა დამთავრდა რუსთაველთა გამარჯვებით — 5:1.

რ. ბაბრიჯიძე.

ზუგდიდიდან...

ადგილობრივმა „ენგურმა“ უმასპინძლა კისლოვოდსკის „ნარზანს“. მატჩის პირველი ნახევრის მიხედვით, ზუგდიდის ფეხბურთელებს აუცილებლად უნდა აეღოთ 2 ქულა. მათი უპირატესობა აშკარა იყო, მაგრამ თავდამსხმელებმა გოლი მხოლოდ ერთხელ გაიტანეს (25-ე წუთზე აბრალავამ). მეორე ნახევარში თამაში გათანაბრდა. სტუმრებმა რამდენიმე მძაფრი შეტევა განახორციელეს და ერთ-ერთი მათგანი 58-ე წუთზე კარგად გამოიყენა ნოვიკოვმა და ანგარიშიც გათანაბრდა — 1:1. დარჩენილ დროში ვერც ერთმა მხარემ ვერ გაზარდა შედეგი და მატჩი ფრედ დამთავრდა.

ბ. ალფიბაია.

სოხუმიდან...

ადგილობრივი „დინამოსა“ და კრიმსკის „უროჟაის“ შეხვედრის პირველი ნახევარი უინტერესო გამოდგა. ვერც სტუმრებმა და ვერც მასპინძლებმა ვერ შექმნეს რამდენადმე მწვავე მომენტი. სამაგიეროდ შესვენების შემდეგ მატჩი გამოცოცხლდა. 64-ე წუთზე წოწორიამ წინ გიიყვანა კიდეც თავისი გუნდი. მსაჯის საფინალო სასტვენამდე 2 წუთით ადრე „უროჟაის“ ფეხბურთელებმა გაათანაბრეს შედეგი — 1:1.

შ. ჯალალონია.

ცხინვალიდან...

ადგილობრივი „სპარტაკისა“ და დერბენტის „უროჟაის“ შეხვედრაში მასპინძლების დაცვა ამჯერადაც უხეში შეცდომებით თამაშობდა, ხოლო თავდასხმა უსისტემოდ უტევდა. 30-ე წუთზე წარმატება სტუმრებმა იზეიმეს. ბურთი გაიტანა იუსუფოვმა. 6 წუთის შემდეგ ვაჩეიშვილმა აღადგინა წონასწორობა — 1:1. მეორე ნახევარში სპორტაკელთა უპირატესობა აშკარა გახდა. შთ ბევრი საგოლე მომენტი ვერ გამოიყენეს და პირველი ნახევრის შედეგი ძალაში დარჩა.

ვ. ველკოვი.

გორიდან...

„დილისა“ და ელისტას „ურალანის“ შეხვედრის პირველი ნახევარი მეტად უინტერესო გამოდგა. განსაკუთრებით ბევრს სცოდავდნენ თავდამსხმელები. II ნახევარში მასპინძლები საგრძნობლად გააქტიურდნენ. 50-ე წუთზე კაპანაძემ ზუსტი დარტყმით გახსნა ანგარიში. 13 წუთის შემდეგ გორელები წინ იყვნენ უკვე ორი ბურთით (გოლი საკუთარ კარში გაიტანა ელისტელთა ერთ-ერთმა მცველმა). 70-ე წუთზე კაპანაძე—აბაიშვილი — კაპანაძის კომბინაცია კვლავ გოლით დაგვირგვინდა. გაიმარჯვა „დილამ“ — 3:0.

ვ. გოზალიშვილი.



ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. **24 სექტემბერი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი).** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 15 წ.

ფრენბურთი. ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (პლეხანოვის პრ. № 115). **24-25 სექტემბერი. თბილისის პირველობა სპორტკლუბების გუნდებს შორის.** დასაწყისი 17 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 3 უე 00394